N 314 30/07/2018

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ბესიკ,

გიგზავნით, მიმდინარე წლის 25 ივლისს ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში გამართულ მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმს.

დანართი: ოქმი №15 -3 (სამი) ფურცელი

პატივისცემით,

ხათუნა ვადაჭკორია

პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი
საკრებულოს აპარატი

მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმი №15

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

სოფელი, თემი, დაბა: ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეული

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 25.07. 2018 წელი 11:00 საათი

შეხვერდას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **ვლადიმერ ნანაძე,** ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი **კახა თედორაძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის" თავმჯდომარე **გიორგი გვარჯალაძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე **ეკატერინე გუჯაბიძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი **ირმა ხურციძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი **ლევან ჩხაიძე,** მერის წარმომადგენელი ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში **გოჩა დოლიძე,** მერის წარმომადგენელის მოადგილე ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში **დავით ნარსია,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი **ნინო მშვიდობაძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე რანგის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში) **მაია კუპატაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის, პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ხათუნა ვადაჭკორია** და სოფელ ღრმაღელის მოსახლეობა.

სოფელ ღრმაღელეში შეხვედრა ადმინისტრაციული შენობიდან დაიწყო. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მიესალმა მოსახლეობას, მადლობა გადაუხადეს მობრძანებისთვის და სთხოვეს გამოეთქვათ მოსაზრებები არსებული პრობლემების შესახებ.

ღრმაღელის მკვიდრმა, **გოჩა ევგენიძემ** განაცხადა, რომ სოფლის ყველაზე დიდი პრობლემა - გზის მოწესრიგებაა, მართალია მოიხრეშა სამანქანო გზა და ე.წ. „გრეიდერმაც" გაასწორა, მაგრამ მიუხედავად ამისა მტვერია და გაუსაძლისი მდგომარეობაა. მისი თქმით, ასევე მოსაწესრიგებელია სოფლისთვის სასმელი წყლის მიწოდება.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** განაცხადა, რომ ინფრასტრუქტურის სამსახური ამზადებს პროექტს, რათა სოფელ ღრმაღელეში გაკეთდეს სანიაღვრე არხები და დაიგოს ასფალტის საფარი. მისი განმარტებით, როდესაც პროექტი დასრულდება ეცოდინებათ შესასრულებელი სამუშაოს თანხის ოდენობა და შემდგომ უკვე იზრუნებენ მის დასაფინანსებლად.

მოსახლეობა ასევე დაინტერესდა, თუ როდის დაიწყება გაზიფიცირება მათ სოფელში, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკება „სოკარის" წარმომადგენლებთან, რათა გაზის გაშვება დაიწყოს იმ სოფლებში, სადაც სამონტაჟო სამუშაოები უკვე დასრულებულია. სამწუხაროდ, მიმდინარე წელს სავარაუდოდ ვერ მოესწრება გაზიფიცირება მათ სოფელში, მაგრამ ეცდებიან დაიწყონ სამონტაჟო სამუშაოები.

სოფლის მკვიდრმა **ნარგიზ აფხაზავამ** განაცხადა, რომ სოფლის პრობლემა სასმელი წყალია. ეზოებში აქვთ ჭები, მაგრამ დასალევად უვარგისია. მთაში არის წყაროს წყალი, რომელზეც შესაძლებელია შემკრები ავზის მოწყობა და სოფლის წყლით მომარაგება. მან ასევე განაცხადა, რომ სოფელში არის საბავშვო ბაღი, მედპუნქტი. სურსათის უვნებლობის სამსახური ითხოვს სანაგვე

ურნას, რათა განთავსდეს გამოუსადეგარი ნარჩენები. მათი თხოვნაა რამდენიმე სანაგვე ურნის დადგმა, რომელსაც მოემსახურება შესაბამისი მანქანა (თუნდაც კვირაში ერთხელ).

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** განაცხადა, რომ ურნების მოწესრიგების თემას აუცილებლად განიხილავს შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელთან ერთად. ასევე აღნიშნა, რომ საბავშვო ბაღებმა უნდა გაიარონ ავტორიზაცია, ამიტომ უნდა მოწესრიგდეს და მოეწყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ** განაცხადა, რომ სოფელ ღრმაღელის წყლით მომარაგების პრობლემას აუცილებლად განიხილავენ.

სოფლის მკვიდრმა **თამაზ ჩახვაძემ** განაცხადა, რომ აზიური ფაროსანა შესეულია საყანე ფართობებში და დაინტერესდა, თუ რა იგეგმება მათ გასანადგურებლად, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განაცხადა, რომ ჩოხატაურის რაიონიდან სპეციალურად ჩამოიყვანეს ორი ტრაქტორი, რომელიც საყანე ფართობებს შეწამლავს, ხოლო მოსახლეობაში ე.წ. „პიკაპები" იმუშავებენ.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს თხოვნით მიმართა სოფლის მკვიდრმა **ოთარ ჩხაიძემ.** მან განაცხადა, რომ არ აქვს საცხოვრებელი სახლი და დროებით ცხოვრობს შენობაში, რომელიც მოსაწესრიგებელია. (გასულ წელს მოქალაქემ მიიღო 1 000 ლარი ფულადი დახმარება, მაგრამ პრობლემა ავადმყოფობის გამო ვერ მოაგვარა). მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა მას შესაძლებლობების ფარგლებში აღუთქვა დახმარება.

სოფლის მოსახლეობის თხოვნაა ასევე ელექტროენერგიის მოწესრიგება, რომელიც წვიმის და ქარის დროს ითიშება.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამ პრობლემას აუცილებლად განიხილავენ შესაბამის სამსახურთან ერთად.

ასევე სოფლის მოსახლეობამ განაცხადა, რომ დაახლოებით 20 წლის წინ, სოფელ ღრმაღელის წარმომადგენელს ემსახურებოდა ავტომანქანა, რომელიც კერძო ოჯახშია განთავსებული. აღნიშნული მანქანა ფაქტობრივად ჯართს წარმოადგენს. მათი თხოვნაა მოხდეს მანქანის ჩამოწერა და სხვა ადგილას გადატანა.

ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლების მოსახლეობასთან შეხვედრა ღრმაღელის საჯარო სკოლასთან გაგრძელდა. მოსახლეობის თხოვნას გზის მოწესრიგება წარმოადგენდა. ამ უბანში წყლის ავზი არის, მაგრამ გასაწმენდი და მოსაწესრიგებელია მილები. ასევე მათ მუნიციპალიტეტის მერს სთხოვეს დაეხმარონ 900 მეტრი წყლის მილის შეძენაში, რათა რამდენიმე ოჯახმა გაიყვანოს სასმელი წყალი.

მერის წარმომადგენელმა ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში **გოჩა დოლიძემ,** განაცხადა, რომ წყლის ავზების დასუფთავებას თვითონ უხელმძღვანელებს.

მუნიციპალიტეტის მერმა განაცხადა, რომ დაგეგმილია განახლდეს სოფლის პროგრამა და მათ გამოყოფილი თანხით მიეცემათ შესაძლებლობა შეიძინონ აღნიშნული წყლის მილები.

ღრმაღელის მაჟორიტარმა დეპუტატმა **კახა თედორაძემ** მოსახლეობას განუცხადა, რომ „ქვიშიანზე" კეთდება საყანე ფართობებში მისასვლელი გზა, რაც გაადვილებს ტრანსპორტით საყანე ფართობებში გადაადგილებას.

ორმეთის უბნის მოსახლეობამ ადგილობრივი მთავრობის წარმოადგენლებს სთხოვეს გზის მოწესრიგება. ასევე განაცხადეს, რომ ძალიან დაბალია შუქის სიმძლავრე და წვიმის დროს ითიშება.

სოფლის მკვიდრმა **თამარ გოგელიამ** განაცხადა, რომ ადრე სოფელში ფუნქციონირებდა დაწყებითი სკოლა, ბიბლიოთეკა. ამჟამად ორივე გაუქმებულია, ასევე არ არსებობს კლუბი, სადაც შესაძლებელი იქნება შეხვედრების მოწყობა.

სოფლის მოსახლეობამ ასევე განაცხადა, რომ მდინარე სუფსის მხრიდან გადმოდის პირუტყვი და აფუჭებს ნათესებს. მათი თხოვნაა მუნიციპალიტეტის მერია დაეხმაროს 1500 მეტრი „კბილებიანი“ მავთულის შეძენაში, ხოლო სხვა სამუშაოებს თავიანთი ხარჯებით გააკეთებენ.

მუნიციპალიტეტის მერმა და ხელისუფლების წარმოამდგენლებმა მოინახულეს პირველი ჯგუფის ინვალიდი **იური ბლაგიძე.** მან განაცხადა, რომ მოეხსნა სოციალური დამარება. ესაჭიროება მედიკამენტები და სამედიცინო მომსახურება.

ღრმაღელის მაჟორიტარმა დეპუტატმა **კახა თედორაძემ** განაცხადა, რომ ექვსი თვე გავიდა, რაც სოციალური დახმარება მოეხსნა იური ბლაგიძეს. ისინი აუცილებლად მიმართავენ სოციალურ სააგენტოს, რათა თავიდან განხორციელდეს ქულების დადგენა.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ასევე მოინახულეს მარტოხელა მოხუცებული **ლამზირა როყვა,** რომელიც სიმსივნითაა დაავადებული, მას შეუწყდა სოციალური დახმარება.

მუნიციპალიტეტის მერმა დახმარება აღუთქვა, ორივე ბენეფიციარს და დაპირდა, რომ ის აუცილებლად მიმართავს სოციალურ სააგენტოს მდგომარეობის გარკვევის მიზნით.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოინახულეს ომფარეთის დაწყებითი სკოლა, რომელიც მიმდინარე წელს აშენდა სტანდარტების შესაბამისად და რამდენიმე დღეში მოხდება მისი ოფიციალური გახსნა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: /ზესიკ ტაბიძე/